ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და
საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 5

21იანვარი,2022 წელი
14:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე
სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიამ ზაქარიაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
შალვა ოგბაიძე

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ალექსი გაგოშიძე
ანზორ კიკორია
მზია თოლორდავა
სიმონ პატარაია
დომნა გუმბერიძე
ბადრი ჯინჭარაძე
თინათინ აფხაიძე

ზაზა მამალაძე

ქეთი წიკლაური

ნუგზარ მაჭავარიანი

ზურაბ მიქაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლეო კვაჭაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მძლეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის მძლეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავეტიკ ისააკიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავეტიკ ისააკიანის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ.ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ილია ჭავჭავაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩის გაგრძელების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ოზაანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ოზაანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ემირ ბურჯანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ემირ ბურჯანაძის V შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წარაფის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის და გიორგი გურამიშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, იუნკერთა და გიორგი კვინიტაძის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწე აპოლონ ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერალ ნუგზარ აფხაიძის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის, კომპოზიტორ ავთანდილ შარვაძის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერალ თემურ წიკლაურის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლისთვის მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლეო კვაჭაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს და მოქალაქეებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე ალექსი გაგოშიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ლეო კვაჭაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის II ჩიხს. აღნიშნული სახელდებით მისამართი მიენიჭება რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტს.

აღნიშნულ საკიხთან დაკავშირებით სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი ალექსი გაგოშიძე.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა, ალექსი გაგოშიძემ. მან ითხოვა რუკაზე დაკვალიანება, თუ სად მდებარეობდა ლეო კვაჭაძის I ჩიხი და შესაბამისად, ლეო კვაჭაძის II ჩიხი. მამუკა ბალიაშვილმა განუმარტა და რუკაზე მითითებით დაუზუსტა ტერიტორია და ტექნიკური დეტალები. ტერიტორიის მიგნების თვალსაზრისით, რასაც კომისია ახორციელებს და რასაც ითხოვდა მოქალაქე, მნიშვნელოვანია სამისამართე აბრების დამონტაჟება. აბრა დამონტაჟდება ჩიხის დასაწყისში. ლეო კვაჭაძის ქუჩაზე დამონტაჟდება აბრა, სადაც ლეო კვაჭაძის II ჩიხი იქნება მითითებული და ასევე შიდა აბრები, შიდა მიგნებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ლეო კვაჭაძის II ჩიხის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის დამისამართების შესახებ. კომისიას ზეპირი განცხადებით მომართეს წყნეთში, მერაბ კოსტავას ქუჩის მაცხოვრებლებმა და მოითხოვეს ტერიტორიის დამისამართება. ადგილზე

შესწავლის შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის ძირითადი შესასვლელი მდებარეობს ხსენებული უსახელო ქუჩიდან და მისი სახელდების გარეშე ნუმერაცია ვერ განხორციელდება. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან და წარმოადგენს მის I გასასვლელს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, წყნეთში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს მიხეილ ჯავახიშვილის I გასასვლელის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მძლეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის მძლეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი. კომისიაში შემოვიდა მოქალაქე ხათუნა შაქარაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს წყნეთში, სახელი მიენიჭოს უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს, რათა მოეწყოს გზა და დამისამართდეს. მითითებული ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ წყნეთში უსახელო ტერიტორია მდებარეობს მძლეთის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის I ჩიხს.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, წყნეთში, მძლეთის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს მძლეთის I ჩიხის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავეტიკ ისააკიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავეტიკ ისააკიანის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ანზორ კიკორიას განცხადება, რომლითაც ითხოვს მუხიანის დასახლებაში, რადიოქარხნის მოპირდაპირე ტერიტორიასთან, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. კომისიამ აღნიშნული ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ავეტიკ ისააკიანის ქუჩასთან და წარმოადგენს მის II ჩიხს.

აზრი გამოთქვა განმცხადებელმა ანზორ კიკორიამ, რომელიც ესწრებოდა სხდომას, როგორც დაინტრესებული პირი. მან გამოთქვა გულისტკივილი, რომ მიმანიშნებელი აბრების არქონის და დაუმისამართებლობის გამო, შეუძლებელი იყო ტერიტორიის მიგნება სასწრაფო დახმარების, სახანძრო და სხვა სამსახურებისთვის.

კომისიამ მოქალაქეს დაუთქვა აღნიშნულ ტერიტორიაზე სამისამართე აბრების განთავსება სტანდარტული, ოთხთვიანი ვადის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეოთხე საკითხი

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ავეტიკ ისააკიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ავეტიკ ისააკიანის II ჩიხის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ.ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ილია ჭავჭავაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. კომისიაში შემოვიდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას სოფელ ფონიჭალაში, მოქალაქე ალიკული მამედოვის მიმართვის საფუძველზე.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან და წარმოადგენს მის I შესახვევს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ილია ჭავჭავაძის I შესახვევის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას განცხადებით მომართა მოქალაქე იოსებ ჯაფარიძემ, რომლითაც ითხოვს ივერთუბანში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ ტერიტორია მდებარეობს თბილისის დენდროლოგიურ პარკთან და არის განაშენიანების პროცესში, რამაც წარმოშვა ქუჩის გაგრძელების საჭიროება. უსახელო მონაკვეთი არის დაახლოებით 200 მეტრი სიგრძის. მიზანშეწონილია ნაკვეთებამდე მისასვლელი გზის სახელდება, რომელიც მდებარეობს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის გაგრძელებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, გაგრძელდეს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩა.

7. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ოზაანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ოზაანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, მოქალაქე მზია თოლორდავამ განცხადებით მომართა კომისიას, რომლითაც ითხოვს ალექსანდრე ზაალიშვილისა და ოზაანის ქუჩების კვეთაზე არსებული ჩიხის სახელდებას. კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ოზაანის ქუჩასთან და წარმოადგენს მის ჩიხს, სადაც ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი. მაცხოვრებლებს ამ დრომდე არ აქვთ მისამართი და ვერ ახერხებენ მისამართზე რეგისტრაციას.

კომისიამ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა, მზია თოლორდავამ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის, რის შედეგადაც მოგვარდება დამისამართების პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეშვიდე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ოზაანის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ოზაანის I ჩიხის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე სიმონ პატარაიას განცხადება, რომლითაც ითხოვს წავკისში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორია არის განაშენიანების პროცესში, მდებარეობს წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან და წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა, სიმონ პატარაიამ. მოქალაქე არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე აწარმოებს სახლის მშენებლობას და ქუჩისთვის სახელის დარქმევის შემდეგ ესაჭიროება შენობა-ნაგებობისთვის მისამართის(ნომრის) მინიჭება.

სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა მოქალაქეს განუმარტა, რომ საკრებულოს მიერ აქტის გამოცემის შემდგომ, კომისია უშუამდგომლებს საჯარო რეესტრთან, რათა მიენიჭოს ნომერი მის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ერთეულს.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ცხრა ძმა ხერხეულიძის I ჩიხის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე მარგარიტა ოქროპირიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს წავკისში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან და წარმოადგენს მის IV შესახვევს. სხდომის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ სახელდებით მისამართი მიენიჭება რამოდენიმე ოჯახს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ემირ ბურჯანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ემირ ბურჯანაძის V შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა შემდეგი საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, შოთა გელოვანის წერილი, რომლითაც ითხოვს მოქალაქე ზაზა გუგავას მიმართვის საფუძველზე, მითითებული უსახელო გეოგრაფიული

ობიექტის სახელდებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ემირ ბურჯანაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის V შესახვევს. დამისამართდება რამდენიმე ობიექტი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეათე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ემირ ბურჯანაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ემირ ბურჯანაძის V შესახვევის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წარაფის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მეთერთმეტე საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია მოქალაქე გენადი ბარათაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს დამისამართებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. სახელწოდების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელწოდებები და ქუჩაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების მოსაზრებები. როგორც დადგინდა, ტერიტორიაზე რამდენიმე ქუჩა ატარებს ქართული ვაზის ჯიშების სახელწოდებებს.

ქუჩაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის განცხადებით, წარაფი ქართული ღვინის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს და კომისიას ქუჩის სახელის ვარიანტად აღნიშნული სახელი შესთავაზეს.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა, დომნა გუმბერიძემ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მოსახლეობის აზრის გათვალისწინებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს წარაფის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის და გიორგი გურამიშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა მეთორმეტე საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ლევან ჯაფარიძის წერილი, რომელიც გვიგზავნის ვახტანგ გორგასლის ქუჩის გასასვლელში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივ განცხადებას. ისინი ითხოვენ ვახტანგ გორგასლის შესახვევს მიენიჭოს გიორგი გურამიშვილის სახელი, ხოლო გასასვლელი ჩამოყალიბდეს გიორგი გურამიშვილის ქუჩის შესახვევად. საკითხის ინიცირებას წინ უძღოდა მოსახლეობასთან შეხვედრა. შესახვევი არის განვითარებული და სრულიად განაშენიანებული. შესახვევთანაა ასევე გორგასლის გასასვლელი, რაც ხსნის მიგნების პრობლემას. ხსენებული ობიექტი ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ ქუჩად და ექნება ორი შესახვევი. სახელის ინიციატივა მოდის მოქალაქეთა მხრიდან. ისინი აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია ქუჩისათვის გიორგი გურამიშვილის სახელის მინიჭება. გიორგი

გურამიშვილის ბიოგრაფიული მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ იგი მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში, იყო ერეკლე მეორის არმიის მაიორი - არტილერისტი. მის მოღვაწეობაში საბედისწეროა კრწანისის ბრძოლა, სადაც ის გმირულად იღუპება. გარკვეულწილად, ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა კრწანისში გიორგი გურამიშვილის ქუჩის არსებობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეთორმეტე საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევს მიენიჭოს არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის სახელი, ვახტანგ გორგასლის გასასვლელის მონაკვეთს მიენიჭოს არტილერისტის გიორგი გურამიშვილის I შესახვევის სახელი, ვახტანგ გორგასლის გასასვლელის მონაკვეთს მიენიჭოს არტილერისტის გიორგი გურამიშვილის II შესახვევის სახელი.

13. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, იუნკერთა და გიორგი კვინიტაძის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მეცამეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსის, ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე საბა ქორთოშიძის მიმართვის საფუძველზე, ითხოვს კოჯორში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. სახელის შერჩევის დროს გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ ხსენებული ქუჩის მიმდებარედ ორი ქუჩა უკვე ატარებს იუნკერთა და გიორგი კვინიტაძის სახელებს. კომისია არსებული პრაქტიკის შესაბამისად ცდილობს კოჯორსა და ტაბახმელაში ქუჩებს მიანიჭოს

გასაბჭოების წინააღმდეგ მებრძოლ იუნკერთა სახელები. სწორედ ტერიტორიის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ზემოხსენებულ ქუჩებთან. თემატურია ხსენებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან დაღუპული იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელის მინიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, იუნკერთა და გიორგი კვინიტაძის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელი.

14. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწე აპოლონ ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ მეთოთხმეტე საკითხი განსახილველად წარუდგინა კომისიას. კომისიაში შემოსულია მოქალაქე ბადრი ჯინჭარაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის აპოლონ ჯინჭარაძის სახელის მინიჭებას. კომისიამ აპოლონ ჯინჭარაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით კონსულტაციები გამართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებასთან. აკადემიკოს თინათინ სადუნიშვილის განცხადებით, აპოლონ ჯინჭარაძე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღვაწლის მქონე ქართველი ბიოლოგია. კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა. ჩარგლის ქუჩაზე არსებულ ეკლესიასთან არის რამდენიმე ობიექტი, რომელიც დამისამართდება. ქუჩის მდებარეობის შესახებ ეცნობათ როგორც აპოლონ ჯინჭარაძის ოჯახის წევრებს, ისე მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის სამსახურს.

აზრი გამოთქვა განმცხადებელმა ბადრი ჯინჭარაძემ. მან მზაობა გამოთქვა, დაინტერესების შემთხვევაში პასუხი გაეცა კომისიის წევრების მიერ დასმული კითხვებისთვის და მადლობა გადაუხადა კომისიას გადაწყვეტილებისთვის.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწე აპოლონ ჯინჭარაძის სახელი.

15. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერალ ნუგზარ აფხაიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯომარემ კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა მეთხუთმეტე საკითხი. 2021 წლის 9 თებერვალს კომისიაში შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თბილისის" თავმჯდომარის, ზაზა მამალაძის წერილი, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ქუჩებისთვის მომღერალ ნუგზარ აფხაიძის და კომპოზიტორ, ავთანდილ შარვაძის სახელების მინიჭებას. ზაზა მამალაძის განცხადებას ერთვის ვაჟა აზარაშვილის, ნანი ბრეგვაძის, ნუგზარ კვაშალის, ნუკრი კაპანაძის და სხვათა ხელმოწერები. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. ნუგზარ აფხაიძის შემოქმედება დიდწილად დაკავშირებულია ტრიო „თბილისთან" და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლთან. მისი სოლისტობით ტრიო „თბილისმა" მსოფლიოს მასშტაბით 4000-მდე სოლო კონცერტი ჩაატარა. ქუჩა, რომელიც შერჩეულ იქნა სახელდებისთვის არის განაშენიანების პროცესში. მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარედ. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ავთო ვარაზის ქუჩასთან განხორციელდეს სახელდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთხუმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მომღერალ ნუგზარ აფხაიძის სახელი მიენიჭოს.

16 ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის, კომპოზიტორ ავთანდილ შარვაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა ავთანდილ შარვაძის ღვაწლის შესახებ. ამ საკითხზეც ინიციატივით კომისიას მომართა ზაზა მამალაძემ. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. ავთანდილ შარვაძე იყო XX საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი კომპოზიტორი და შემსრულებელი. კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია ვაკის რაიონში ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს გადაწყვეტილება და საკითხს დადებითი შეფასება მისცეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას კომპოზიტორ ავთანდილ შარვაძის სახელი მიენიჭოს.

17. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერალ თემურ წიკლაურის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მეჩვიდმეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია სიმონ ჩიქოვანის ქუჩის მაცხოვრებელთა ნაწილის განცხადება. ისინი ითხოვენ სიმონ ჩიქოვანის ქუჩას მიენიჭოს თემურ წიკლაურის სახელი. კომისიამ აღნიშნული საკითხის შესწავლის პროცესში კონსულტაციები გამართა მომღერლის ოჯახის წევრებთან და მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული სიმონ ჩიქოვანის სახელის ცვლილება. ერთობლივი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა ადამ მიცკევიჩის ქუჩაზე არსებული სკვერისთვის თემურ წიკლაურის სახელის მინიჭება. სხდომის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ ქალაქის ცენტრში მდებარე სკვერი გადაიქცევა ერთ-ერთ შემოქმედებით ლოკაციად.

აზრი გამოთქვა მომღერლის შვილმა ქეთი წიკლაურმა, რომელიც ესწრებოდა სხდომას. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდების განხორციელებისთვის. სიმბოლურია რომ ხვალ 22 იანვარს მომღერალს 76 წელი შეუსრულდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მომღერალ თემურ წიკლაურის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლისთვის მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის გიორგი გიორგაძის წერილი, რომლითაც ითხოვს ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლეს მიენიჭოს მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელი. სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, დღემდე ცნობილი იყო, რომ ჭადრაკის სასახლე ატარებდა ნონა გაფრინდაშვილის სახელს, თუმცა საქმისწარმოების პროცესში დადგინდა, რომ სამართლებრივად სახელდება არ იყო განხორციელებული და არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი აქტიც.

აზრი გამოთქვა დაინტერესულმა პირმა, ზურაბ მიქაძემ. მან დადებითად შეაფასა კომისიის გადაწყვეტილება აღნიშნული ხარვეზის შესწორებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთვრამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლეს მიენიჭოს მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე